1889 წელსა, № 7—8 1—30 აპრილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საექსარხოსოისა.

უმაღლესი გრამატები.

ყოვლად სამღვდელოს გაბრიელს, იმერეთის ეპისკოპოსს.

ხანგრძლივი მართვა თქვენ მიერ ამიერ-კავკასიის ერთის უძველესთაგანის ეპარქიისა აღბეჭდილი არს განათლებულის გულს-მოდგინებით სულიერად აღშენებისათვის თქვენდამი რწმუნებული სამწყსოისა და მუდმივი ზრუნვითა განმტკიცებისათვის მასში ერთგულებისა წმ. ეკკლესიისა, ტახტისა და მამულისადმი.

სამართლიანად მიმხედველმა თქვენის ესრეთის ღირსეულის მღვდელ-მთავრული მსახურებისა, ყოვლად უმოწყალესად თანა შევრაცხეთ ჩვენ თქვენ იმპერატორებითი ორდენისადმი ჩვენისა წმიდისა კეთილ-მორწმუნისა დიდისა მთავრისა ალექსანდრე ნეველისა, რომლისა ნიშანთა, ამასთანავე წარმოგზავნილთ, გიბრძანებთ დაიკიდოთ და ატაროთ დადგენილობისამებრ.

დავშთებით თქვენდამი იმპერატორებითი მოწყალებითა ჩვენითა კეთილ-განწყობილნი.

ყოვლად სამღვდელოს გრიგორის, გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსს.

ხელმწიფებრივ მიმხედველმა ხანგრძლივის მსახურებისა თქვენისა წმ. ეკკლესიისადმი და გულ-მოდგინე შრომათა წინანდელ დროში სხვა-და-სხვა თქვენდამი მონდობილ თანამდებობათა გამო საქართველოს საექსარხოსოსა შინა და აწ მმართვისათვის თქვენდამი რწმუნებული ეპარქიისა, ყოვლად უმოწყალესად თანა შევრაცხეთ ჩვენ თქვენ საიმპერატორო ორდენისადმი ჩვენისა წმ. ანნასი პირველი ხარისხისა. გიგზავნით რა ამა ორდენის ნიშანთა და გიბრძანებთ რა თქვენ დაიკიდოთ იგი და ატაროთ დადგენილობისაებრ, დავშთებით თქვენდამი იმპერატორებითი მოწყალებითა ჩვენითა კეთილ-განწყობილნი.

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელთაც ყოვლად უმოწყალესად ებოძათ, აპრილის 9-ს 1889 წ. ჯილდოები, უმაღლესად ბოძებულნი.

ეპარქიალურ უწყებასა შინა სამსახურისათვის.

წმ. ვლადიმირის ორდენი მესამე ხარისხისა: გურია-სამეგრელოის ეპარქიის, ქ. ბათუმის, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის დეკანოზს სიმონ ქიქოძეს; **წმიდა ვლადიმირის ორდენი მეოთხე ხარისხისა;** ქართლის ეპარქიის, ტბილისის მაცხოვრის ფერის-ცვალების მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ კესარიოს; ქალაქ ტბილისის სამების ეკკლესიის დეკანოზს ნიკოლოზ არდაზიანს; წმ. ანნას ორდენი მეორე **ხარისხისა:** ქვათახევის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნიკოლოზს; ტფილისის მიძინების საკათედრო სობოროს დეკანოზს სტეფანე ბულგარევიჩს; ქ. ქუთაისის, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის დეკანოზს გიგაუროვს; **წმინდა ანნას ორდენი მესამე ხარისხის:** ქართლის ეპარქიის, თელავის მაზრის, შილდის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელს დიმიტრი აღნიევს; ქართლის ეპარქიის, გორის მაზრის დისევის ცხოველ-მყოფელის სვეტის ეკკლესიის მღვდელს გაბრიელ ოქროპირიძეს; გურია-სამეგრელოის ეპარქიის, შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტს ამბროსის.

განჩინებანი უწმიდესი სინოდისა.

14-28 მარტიდამ 1889 წლისა № 520 სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

უქაზისაებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა წარმოდგენებანი ეპარქიის მღვდელთ-მთავრებისა და სასახლის სამღვდელოების გამგებლისა მათდამი რწმუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებასა შინა სამსახურისათვის. ბრძანეს: ძალისა გამო მოხდენილ მსჯელობათა, უწმიდესმა სინოდმა განაწესა: ამასთანავე წარმოგზავნილ სიასა შინა აღნიშნულნი პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სიისაებრ აღნიშნული ჯილდოებითა რაზედაც, ეპარქიის მღვდელ-მთავრებისა და სასახლის სამღვდელოების გამგის გამოსაცხადებლად დაიბეჭდოს ამასთანავე წარმოგზავნილი სია აღნიშნულთა პირთა ჟურნალს «საეკლესიო უწყებებში».

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის, დაჯილდოებულ იქმნენ უწმიდესი სინოდისაგან წმ. პასექის დღესა, 1889 წ.

საქართველოს საექსარხოსოში:

ქართლის ეპარქიისა: ა) ენქერით: ქალაქ თბილისის ქაშვეთის სასახლის ეკლესიის წინამძღვარი გედეონი; ბ) დეკანოზობის ხარისხით: ქალაქ თბილისის საკრებულო მთავარანგელოზის ტაძრის მღვდელი გრიგოლი პეტრიევი, ქალ. თბილისის, ბერძნების ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ზუმბულიძე; სიღნაღის მაზრის, ზემო-მაჩხაანის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი სიმონ ბენაშვილი, თელავის მაზრის ყვარელის იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ხუციევი, თელავის მაზრის, ცინონდალის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი პეტრე შიუკოვი; გ) მკერდის ჯვრით, უწმიდესი სინოდისაგან ნაბოძებით: თბილისის მაზრის, კლდისუბნის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი მახათაძე, დ) კამილავკით: ქალაქ თბილისის, ავლაბრის მარიანეს ეკლესიის მღვდელი სოლომონ შაშიევი, თბილისის მაზრის საგარეჯოს ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ დავიდოვი; თბილისის მაზრის, საგარეჯოს იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიის მღვდელი იოანნე ბედიევი; გორის მაზრის, ქვათახევის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დავით ბარნაბოვი; გორის მაზრის, ქვიშხეთის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელი ზაქარია კიკნაძე; გორის მაზრის, სამთავისის ამაღლების ტაძრის მღვდელი ქრისტეფორე ცხვეთაძე; სიღნაღის მაზრის, ველისციხის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი იოსებ ხარიტონოვი; დუშეთის მაზრის, ხორხის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი იესე გელაძე; ე) სკუფიით: თბილისის მაზრის, პატარა ონეთის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი მიხეილ თეთრაძე; თბილისის მაზრის, ზემო ავჭალის იოანნე ნათლის მცემლის ეკკ. მღვდელი იოანნე ბიძიკოვი; თბილისის მაზრის, წავკისის ეკლესიის მღვდელი ელიზბარ ნაკაშიძე; გორის მაზრის, ოსიაურის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ილია მგალობლოვი; გორის მაზრისა ჯრივის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გრიგორი ქოქოევი; გორის მაზრის კოდოთის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი ქრისტეფორე უზნაძე; თელავის მაზრის, ახურის წმიდის ილიას ეკლესიის მღვდელი სიმონ რცხილაძე; თელავის მაზრის, მველი გავაზის იოანნე ნათლის მცემლის ეკლესიის მღვდელი ადამ მირიანოვი, და ვ) უწმიდესის სინოდის ლოცვაკურთხევითა უგრამატოდ: დუშეთის მაზრის, მცხეთის ათ თორმეტთა მოციქულთა ტაძრის დეკანოზი ანდრია გურგენიძე; ქ. სიღნაღის თავარ-ანგელოზის ეკლესიის დეკანოზი სიმონ ბეგიევი; ბორჩალოს მაზრის, სანამურის წმ. იაკიმე და ანნას ეკლესიის მღვდელი არისტარქ თეოხარი; ქალაქ თბილისის სასახლის ეოფილის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი; ქ. თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ქრისტეფორე კლიმოვი; ეკონომი თბილისის ქაშვეთის სასახლისა მღვდელ-მონოზანი ნიკონი, და გორის მაზრის ხოითის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მღვდელი ალექსი დავიდოვი.

იმერეთის ეპარქიაში: ა) დეკანოზობის ხარისხით: ქ. ქუთაისის საკრებულო ტაძრის მღვდელი იოსებ კიკაჩეიშვილი; ბ) მკერდის ჯვრით, უწმიდესი სინოდისაგან ბოძებულით: გაენათის ღვთის მშობლის მონასტრის მღვდელ-მონოზანი გრიგორი; ქუთაისის მაზრის სოფლის ბანოჯის ეკლესიის მღვდელი ანტონ ბალანჩივაძე; ქუთაისის მაზრის სოფლის წყალტუბოს ეკლესიის მღვდელი სპირიდონ ფანცხავა; ქუთაისის მაზრის, სოფლის ჩაგანის ეკლესიის მღვდელი გიორგი შენგელია; გ) კამილავკით: ქუთაისის მაზრის, სოფ. გუბაძის ეკლესიის მღვდელი მიხეილ კანდელაკი; შორაპნის მაზრის, სოფლის კვალითის ეკლესიის მღვდელი იესე ხუსკივაძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის მეჯრის ეკკლ. მღვდელი ნესტორ რობაქიძე; შორაპნის მაზრის, სოფლის ნავარზეთის ეკლესიის მღვდელი ალფეზა ბარათაშვილი; შორაპნის მაზრის, სოფლის ქვარციხის ეკლესიის მღვდელი გიორგი ლოსაბერიძე; შორაპნის მაზრის, სოფლის ჯალაურთის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი; შორაპნის მაზრის, სოფ. ბერეთისას ეკლესიის მღვდელი ალექსი კვიჟინაძე; დ) სკუფიითა: ქალაქ ქუთაისის სამების ეკლესიის მღვდელი იოანნე მაგლაძე; ქუთაისის მაზრის,

სოფლის გამოჩინებულის ეკკლესიის მღვდელი იოსებ კანდელაკი; ქუთაისის მაზრის, სოფლის კუხის მღვდელი პეტრე ცაგარეიშვილი; ქუთაისის მაზრის, სოფლის ჭოგნარის მღვდელი იოსებ კუბანიევი; ქუთაისის მაზრის, სოფლის ქვიტირის მღვდელი პავლე ბახტაძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის კუხის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ცაგარეიშვილი; შორაპნის მაზრის, სოფლის ხრეითის ეკკლესიის მღვდელი მიხეილ ჯაფარიძე; შორაპნის მაზრის, სოფლის შუქრუთის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი ჩაჩანიძე; შორაპნის მაზრის, სოფლის ითხვისის ეკკლესიის მღვდელი დავით კაპანაძე, და შორაპნის მაზრის, სოფლის სარეკის ეკკლესიის მღვდელი აბესალომ ტყემალაძე; და ე) უწმიდესი სინოდის კურთხევითა უგრამატოდ: გაენათის ღვთის მშობლის მონასტრის მღვდელ-მონოზანი გაბრიელი.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში: ა) დეკანოზობის ხარისხით: ლედზაზამის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ხუხუნი; ბ) მკერდის ჯვრით, უწმიდესი სინოდისაგან ნაბოძებით: შემოქმედის მაცხოვრის მეორე ხარისხის მონასტრის ხაზინადარი, მღვდელ-მონაზონი ისიდორე; მარტვილის პირველი ხარისხის ღვთის-მშობლის მონასტრის ხაზინადარი, სოფრონიოსი; გ) კამილავკით: სულის წმიდის მოფენის ეკკლესიის მღვდელი ანდრია ვახანია; სუჯუნის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი იაკობ ნოდია; ჩიბათის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ილარიონ ჯორბენაძე; მაცხოვრის-კარის ეკკლესიის მღვდელი კონსტანტინე თოფურიძე; ლეჩეჩხვაკის წმ. გიორ. ეკკლესიის მღვდელი პორფირე ოსიძე; გედეჯეთის თავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი პავლე გეგენავა; დ) სკუფიით: ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ჭყონია; ორქის წმ. თევდორე ტირონის ეკკლესიის მღვდელი ოქროპირ რურუა; ჩაჩხურის თავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი გიორგი თოდუა; ლეცურცუმის წმ გიორგის ეკკლესიის მღვდელი დავით ქუტელია; ლეისის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ნაკაშიძე; ჩიხარეშის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი კრისტი მდივანი; ცაიშის ღვთის მშობლის ეკკ. მღვდელი ზოსიმე მაკაცარია; ქვემოხერის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი ფილიმონ ბროკიშვილი; ფოთის ქალაქის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიის მღვდელი გიორგი კვირკველია; კეთილობრის წმ. გიორ. ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ჩაგანავა; ილორის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი იოანნე გრიგოლია და შუხუთის ღვთის მშობლის ეკ. მღვდელი ბესარიონ იმნაიშვილი; ე) უწმიდესი სინოდის კურთხევით უგრამატოთ: ხენაკის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ნიკოლოზ კალანდარიშვილი; პირველი კვალონის წმ. გირ. ეკ. მღვდელი იოანნე ხაჩოლავა; ზუგდიდის წმ. ნიკოლოზის (იგივე წმ. გიორგის) ეკკლესიის მღვდელი დავით ქედია; ციხის იოანნე ნათლის მცემლის ეკკლესიის მღვდელი იესე ცინცაძე; შუაამაშების იოანნე ნათლის მცემლის ეკკლესიის მღვდელი ქრისტეფორე დოლიძე; ჯუმათის თავარ-ანგელოზის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ამბერკი და ალექსანდრე ნეველის საკრებულო ტაძრის მღვდელი ანტონ კეკელია.

იმერეთის ეპარქიაში ეპარქიის მღვდელ-მთავრისაგან დაჯილდოებულნი არიან ნაბედრენიკით ამა 1889 წელში შემდეგი სამღვდელო პირნი:

ბლალოჩინნი მღვდელნი: დავით სირბილაძე, ივლიანე აბესაძე და ერმალოზ კანდელაკი; მღვდელნი: ბართლომე მაჩიტაძე, ანტონ კანდელაკი, პორფირე კერესელიძე, ისიდორე დოდონაძე, მაქსიმე გოგრიჩიანი, ისიდორე ყორყოლიანი, მაკარი გაჩეჩილაძე.

უკაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა რუსეთის თვით-მპყრობელისა უწმიდესი და უმართებულესი სინოდისაგან, სინოდის წევრს საქართველოს ეგზარხოსს, ყოვლად სამღვდელო პალლადის, მთავარ-ეპისკოპოსს ქართლისა და კახეთისას.

უკაზისაებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: 1) წინადადება ბ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგისა, 27 იანვრიდამ 1889 წ. № 541, მასზედ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, თანახმად, კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებლის აზრისა, არ ჰპოებს დაბრკოლებათა თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრისა დაბა ბოდბეში წმ. ნინას საფლავზე საკათედრო ტაძართან დედათა მონასტრის დაარსებას და 2) ცნობა, რომლისაგანაც აღმოჩნდა შემდეგი: 1888 წელში, მაისში

თქვენმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იშუამდგომლა თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრის დაბა ბოდბეში საკათედრო ტაძართან საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინას საფლავზე დედათა მონასტრის დაარსებაზე, ამასთანავე თქვენმა ყოვლად უსამღვდელოესობამ განმარტეთ, რომ ადგილობით მართლ-მადიდებელ მკვიდრთა, რომელნიც ადიდებენ მოციქულთა სწორს საქართველოს განმანათლებელს წმ. ნინას, დიდი ხანია სურსთ და მოელიან ბოდბის ტაძართან ამ წმიდანის საფლავთან დედათა სავანის აღგებას, სადაც უწინაც იყო მონასტერი, რომელიც დანგრეულ იქმნა მეთუთხმეტე საუკუნეში. აღნიშნული მონასტრის დაარსება ქალთა სკოლითურთ უეჭველად იქონიებს ადგილობით მკვიდრთა რელიგიურ-ზნეობრივ ცხოვრებაზე საკეთილო გავლენას და სხვა-და-სხვა გარეშე აღმსარებლებზე, რომლებიც ათასობით გარს ახვევიან მართლ-მადიდებელ მცხოვრებთა, იმოქმედეს განმანათლებელად. სავანის დათა რიცხვი იმდენი უნდა იყოს, რამდენის შენახვასაც შეიძლებს მონასტერი თავის ხარჯით, და დათა რიცხვში შეიძლება მიღებულ იქმნენ როგორც ადგილობრივი, აგრეთვე სხვა მცხოვრებთაგანი, რომელნიც კი ისურვებენ სავანეში შემოსვლას. აღნიშნული მონასტრის საშუალებან უნდა იყვნენ: ტაძრის საკუთარი წყლის წისქვილის შემოსავალნი, ზვრიანი მიწები, საეკკლესიო კრუჟკებით შეკრებილნი ფულები, საეკკლესიო სანთლისაგან მონაგები, შეწირულებანი, რომელიც შემოდის ზედ-მიწერილის ამაღლების ეკკლესიას ტაძრის დღეობაზე და აგრეთვე მონასტრის მეურნეული შემოსავალი და დათა ხელთ-ნასაქმარნი და ეს საშუალებანი საკმაო იქმნებიან პირველ ხანებში მხოლოდ დედათა მცირე რიცხვისათვის. აღნიშნული მონასტრის დათა ბინად სასწავლებლითურთ ბოდბის ტაძართან იქმნება დიდი, ეგრედ წოდებული, სამღვდელ-მთავრო სახლი მაზედ მიშენებული ორის შენობითურთ და ქვის ორი პატარა სახლი. ეს შენობები საჭიროა მოიწყონ მათი ახალი დანიშნულებისაებრ და ამისათვის საჭირო საშუალებანი ეპარქიალურ მთავრობას აქვს სახეში. მონასტრის დაწესებისა თანავე ყოველ დღიური ღვთის მსახურების აღსასრულებლად მასში დანიშნული იქმნება საეკკლესიო კრებულიც თეთროსანი სამღვდელოებისაგან რიცხვით იმდენი, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს, ხოლო აწინდელი ბოდბის წმ. ტაძრის მმართველი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი და მორჩილნი უნდა გადაყვანილ იქმნენ ეპარქიის მამათა მონასტერში. მონასტრის დათა და ქალთა სკოლის ბინად ტაძრის შენობათა ჯეროვნად მოწყობა და აგრეთვე მონასტრის ეკონომიური ნაწილის წესში მოყვანა უნდა მიენდოს განსაკუთრებულ კომიტეტს საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრის არქიმანდრიტის ნიკოლოზის თავს-მჯდომარეობით გამოცდილ და კეთილ-საიმედო როგორც სასულიერო, ისე საერო პირთაგან, რომელნიც განსაკუთრებით თანაუგრძნობენ სავანის დაარსების საქმეს. ზანიხილა რა ეს მოხსენება და იცნო რა განმარტებული თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობისა შუამდგომლობა ღირსად პატივის დებისა, უწმიდესმა სინოდმა უმაღლესის ბრძანების ხელ-მძღვანელობით, რომელიც გამოვიდა მაისის 9 დღესა 1881 წელსა (მართ. კანონ. და განკარ. კრებ. 1881 წლისა № 82, მუხ. 552) 23/30 სეკტემბრისა 1888 წ. დაადგინა: თბილისის გუბერნიასა, სიღნაღის მაზრისა დაბა ბოდბეში წმიდა ნინას საფლავზე საკათედრო ტაძართან დაარსდეს დედათა საერთო საცხოვრებელი სავანე მონაზონთა იმდენი რიცხვისათვის, რამდენსაც მონასტერი შეიძლებს შეინახოს თავის საშუალებით და დაერქვას მას წმ. ნინას საქართველოს განმანათლებელის ბოდბის მონასტერი. უწინარეს ამის აღსრულებისა მიენდოს ბ. სინოდის ობერ-პროკურორს, რათა მისწეროს მან შინაგან საქმეთა მინისტრს მასზედ, რომ არავითარიმე დაბრკოლება არ არის მისი მხრით დასახელებული მონასტრის დაარსების შესახებ. **ბრძანეს:** უკაზით ეცნობოს თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას დაარსება თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრისა ქართლის ეპარქიის დაბა ბოდბეში წმ. ნინას საკრებულო ტაძართან დედათა საერთო საცხოვრებელი მონასტრისა მონაზონთა იმდენი რიცხვისათვის, რამდენის შენახვასაც თავის საშუალებით შეიძლებს მონასტერი, რომელსაც ეწოდება სახელად ბოდბის საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინას მონასტერი. თებერვალი 1889 წ. ნადღვილზე ხელი მოაწერეს: ობერ-სეკრეტარმა ალექსი პოლონსკიმ და სეკრეტარმა შმა[illegible]მა.

ნამდვილთან სწორეა მდივანი საქართველო—იმერეთის სინოდალნი კანტორისა ჩიტაძე.

შევამოწმე სტოლის უფროსმა კალმაკოვმა.

1889 წელსა, № 7—8 1—30 თებერვალსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწყემსი

1883-1889

ქრისტე აღსდგა!

პირველივე კაცი - ადამი, თავდაპირველ შემოქმედის ხელიდამ გამოსული ყოვლად უმანკოდ და უბიწოდ, თავისი საკუთარის ურჩობისა და ბოროტი ადმი მიდრეკილ ბისა გამო, იმ-დენად დაეცა ღვთის წინაშე და განეშორა მისგან, რომ მისმა ძძიე ცოდვამ ძირეულად მოსწამლა და წარსუმინდა მთელი მისი შთამამავლობა და ხათესავი. პირველ შობილი ცოდვა მოედო მთელს ქვ ეყანას. ყოველი ადამიანი შეიქმნა ცოდ-

ვილ, წყეულ და მომაკვდავ. განრისხებული ღმერთი, უზენაესი მართლ-მსაჯულება ითხოვდა მსხვერპლს შესარიგებლად მისა დაცემულს კაცობრიობასთან. მაგრამ რომელი ქვეყნიური მსხვერპლი გასწევდა ღვთის წინაშე იმოდენობას, რომ განრისხებული უზენაესი მართლ-მსაჯულება დაეკმაყოფილებია? განუზომელია და მიუწდომელი მომაკვდავ ადამიანისათვის განრისხება დაუსაბამოის ღვთისა. ესეთივე დიდი და ჩვენი ვიწრო გონების თვალთათვის მიუწთომელი უნდა ყოფილიყო თვით ის მსხვერპლიც, რომელიც ითხოვებოდა დაცემული კაცობრიობისაგან ღმერთთან შესარიგებლად და ადამიანის გამოსასყიდლად და განსათავისუფლებლად ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან. საჭირო იყო აღსრულებულიყო უჩვეულო საქმე შერიგებისა, საჭირო იყო არა კაცური ძალა, რომელსაც უნდა მოეხდინა ეს შერიგება; საჭირო იყო უდიდესი მსხვერპლი, რომელსაც უნდა მიეღო თავის-თავზე მთელი ტვირთი კაცობრიობის მძიმე ცოდვებისა და თავის საკუთარს ტანჯვათა და ვნებათა ცეცხლში გარდაექმნა კაცის დაცემული ბუნება კვალად აღსადგენად, ძირეულად გარდაეხალისებია და გაებრწყინვალებია ცოდვით შემწიკვლული და შემღვრული მისი არსება; საჭირო იყო ესრეთი თავგანწირულებით აღენთო მას თავის თავში ღვთაებრივი ნათელი ახალის უმჯობესი გზისა და ძალა ახალი უმჯობესი ცხოვრებისა კაცობრიობისათვის.

ჭეშმარიტად ასეთ მსხვერპლად შეეძლო გამხდარიყო მხოლოდ ძე ღვთისა, რომელიც თითქმის ცხრამეტი საუკუნეა, რაც კიდევაც განკაცდა ჩვენთვის, ჯვარს ეცვა, მოკვდა, აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და საუკუნო ცხოვრება მოგვანიჭა.

შეწირულ იქმნა დიდი მსხვერპლი ესე ღვთის წინაშე. თვით მაცხოვარის სიკვდილთან ერთად ჯვარზე დაითრგუნა სიკვდილი, შემუსრა ბოროტება, გამოსყიდულ იქმნა ცოდვის ტყვეობისაგან ადამიანი, იძლია სიცრუე, უსამართლოება, მტარვალობა, მძლავრობა, ჩაგვრა უძლურთა—დაიქცა სამეფო სიბნელისა; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს. აღსდგა ქრისტე და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა.

აღსდგა ქრისტე და მასთან ერთად კვალად აღსდგა ჭეშმარიტება, ჯვარიდამ მოეფინა კაცობრიობას ახალი განმაცხოველებელი მადლი ღვთისა, ნათელი ჭეშმარიტებისა, მზე სიმართლისა...

ქრისტე აღსდგა!..

მოერიდეთ ვერაგებს და მატყუარებს ვითომ ათონის მონასტრების სასარგებლოდ მოღვაწეთა და ფულების შემკრებთა.

ამ ბოლოს დროს ძალიან იმატა წმ. ტაძრებისა და მონასტრების სასარგებლოდ შეწირულების შემკრებელთა პირების რიცხვმა, რომელთა შესახებ ჩვენ არა ერთ გზის გაგვიფრთხილებია ჩვენი მკითხველები. საჭიროდ ვრაცხთ დღესაც გავიმეოროთ ეს გაფრთხილება. მრავალი ამ პირთაგანი, მართალია წმიდა აზრით და უანგაროთ შესდგომია ამ კეთილს საქმეს, მაგრამ მათთან ერთად ჩვენ ვხედავთ ისეთებსაც, რომელნიც დაიარებიან და შეწირულებათ ჰკრებენ წმ. ტაძრების და მონასტრების სახელით, მაგრამ მათ სრულიადაც არ შესტკივათ გული არც მონასტრებისათვის და არც ტაძრებისათვის: ისინი მხოლოდ შემთხვევით სარგებლობენ, რათა თავიანთი ჯიბეები გაივსონ და თავი შეიფარონ მამხილებელთაგან წმიდა საქმის დროშის ქვეშ. ამ პირთა თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მათ რიცხვში გაერიენ მედუქნეები, ვერაგები, ავაზაკები, ურიები და სხვა მერჯულენი, რომლებიც შორს კუთხეებში გზავნიან წერილობით მოწოდებათა, რომლებშიაც დაწერილებით ატყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებენ შემწირველთა შეწირულებათა ნიხრს (такса) როგორც დროებით, აგრეთვე სამარადისოდ მოსახსენებლად მათ მიცვალებულთა და სხვ. ამ გვარი მოწოდებაებით, რომლებიც ვითომ წმ. კაცების მიერ და წმიდა ადგილებიდამ იგზავნებიან, ძლიერ სტყუვდება მდაბიო ხალხი და მრავალს შეწირულებასაც გზავნის როგორც თავის, ისე თავიანთ გარდაცვალებულთა მოსახსენებლად, და ის კი არ იციან, რომ ეს ფულები იფლანგება ზემო აღნიშნულ მცარცველთაგანი არა კეთილ საქმეებზე. არიან კიდევ ამავე ხელობის მეორე ჯურის პირნიც. ესენი კიდევ უფრო მტკიცედ და ფართოდ ითელავენ გზას საზოგადოების ჯიბისაკენ: ისინი პირ-და-პირ მიმართავენ ხოლმე უმაღლეს მთავრობათა, წარჩინებულ პირთა და, ვითარცა ერთ-გულნი შვილნი მამულისა, უცხადებენ მათ თავიანთ თავგანწირულებას საზოგადო საქმეებისათვის და მხურვალე სურვილს თავი შესწირონ რაიმე კეთილ და სასარგებლო მათ მიერ მინდობილებას. მოღვაწეობის საგნად ესენიც, რასაკვირველია, ასახელებენ წმ. ტაძრებს და მონასტრებს და ამ დაწესებულებათა და პირთაგან ითხოვენ ნებართვას, რათა მათ თავისუფლად შეეძლოთ შემოიარონ მთელი ვრცელი რუსეთი ფულების მოსაგროვებლად წმ. საქმეებისათვის; როცა ამ მიზანს მიაღწევენ, აღიჭურვებიან უბრალო წიგნებითა და, გულზე, ხატ-დაკიდებულნი, შეუდგებიან ფულების ხვეტას; მაგრამ, საუბედუროდ, ეს აუარებელი ფულები ან სულ ვერ აღწევს წმ. ტაძრების და მონასტრების კარებამდის, და, თუ იხარჯება იგი ამ საქმეზე, ძლიერ მცირე ნაწილი. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ ამბავს, რომელიც „Моск. Вѣд.“-იდგან გადმობეჭდილი იყო «Руков. для сел. Паст.»-ში:

«დიდი ხანი არაა, რაც ზოგიერთა რუსულს გაზეთებში გვ ატყობინებდნენ, რომ მრავალ რუსის ვაჭართა და სოფლის მცხოვრებთ მოსდითო წერილები, რომლებშიაც ითხოვენ შესაწირავთ ათონის მონასტრებისათვის,—და ამასთანავე,—რადგან რუსეთიდგან ფულიანი წერილების მიღება სტამბოლში გასაჭირიაო, შეწირულებათა შემკრებელნი ითხოვენ, რომ ფულები გამოგზავნეთ ამა და ამ პირების სახელზედ, რომლებიც გაუგზავნიან მათ დანიშნულებისამებრ. წერილებში მოჰყავდათ დაწერილებითი ნიხრიც, თუ რამდენი ღირდა ყოველდ-ღიური და ყოველკვირეული მოხსენება შემწირველთა და მათ ნათესავთა. აღმოჩნდა რამოდენიმე პირი, რომელთაც გამოგზავნეს კიდეც აღნიშნულის პირის სახელზე თავიანთი შეწირულებანი. ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა, რომ ოდესა ყოფილა დედა-ბუდე, სადაც ესეთი შეწირულებანი იგზავნებოდენ. აი როგორ აღმოჩნდა ეს საქმე: ამ რამდენიმე თვის წინათ ერთი სატრანსპორტო საზოგადოების «Надежда»-ს ნოქარმა (აგენტმა) ბატონი კოზლენკომ მიიღო სტამბოლიდამ ვილაცა იულიუს კლეინისაგან წერილი. ამ წერილში კლეინი სთხოვდა კოზლენკოს, რომ,—რადგან რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდამ საქონლების ნიმუშებისათვის ფულები უნდა მივიღოვო,—ნება მომეცით, ეს ფულები თქვენ სახელზე ჰგზავნონ ოდესაში და თქვენ მემიგზავნეთ და ამ შრომისათვის სასყიდლად 3% ჰპირდებოდა.

ბატ. კოზლენკომ პირველად პასუხი არ მისცა კლეინს, რადგან ეს საქმე საჭიროდ არ მიაჩნდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ხელ-ახლად სთხოვა კლეინმა, კოზლენკომ ეს საქმე მიანდო ერთ თავის მოსამსახურეთაგანს მიეწერა კლეინისათვის, რომ ის თანახმაა. შემდეგ ამისა, საკუთარი კონვერტებით, მოდიოდენ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან ფულები სტამბოლში გასაგზავნად. ბატ. კოზლენკოს ძლიერ უკვირდა, რომ არც ერთ პაკეტში გარდა ფულებისა არავითარი საქმიანი წერილები არ იყო, ხოლო ფულებს გზავნიდნენ 3, 5, 10 მან. და მეტს... მაგრამ ერთ პაკეტში აღმოჩნდა წერილი, რომელშიაც ეწერა თხოვნა ილოცე ამა და ამ პირებისათვისო. კოზლენკომ იცოდა, რომ კლეინი ფულებს საქონლების ნიმუშებისათვის იღებდა და ეს წერილი რომ ნახა, ეჭვი აიღო და კიდევაც განაცხადა პოლიციაში. ფულები მაინც მოდიოდენ და 300 მან. შეგროვდა კიდეც. ვერაგობის აღმოსაჩენად და დამნაშავის დასაჭერად, რომელიც სტამბოლში სცხოვრებდა, საშუალება არა სჩანდა რა. მაგრამ ამ დღეებში ბ. კოზლენკოსთან მოვიდა იულიუს კლეინის ვექილი. ეს ვექილი აღმოჩნდა ოდესის ვაჭარი სმირნოვი, რომელიც რამდენიმე თვის წინედ სამართალში იყო მიცემული ყალბი თამასუქების შედგენის თაობაზედ ვაჭრის შაიხოვის სახელზედ. პოლიციამ დააპატიმრა. აღმოჩნდა, რომ ვერაგობით ფულების შესაგროვებლად დაარსებული ყოფილიყო მთელი გროვა ავაზაკთა, რომელთაც რუსეთის სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და-სხვა ადგილებში ჰყავდათ თავიანთი ნოქრები (აგენტები) და ამათგან ტყუპულობდენ ადრესებს მდიდარი კაცებისას ქალაქებში და სოფლებში.

ჩვენი მხრით ამ ამბავს ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენში არიან კიდევ ერთ გვარნი მხვეჭელნი ფულთა. ეს პირნი მოდიან ჩვენში სპარსეთიდკან, ანუ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდგან და კარ-და-კარ თხოულობენ შეწირულებათ, ამასთანავე შემწირველთა უჩვენებენ რაღაც დავთრებს, რომლებშიაც სწერენ თითოეულს შეწირულებას. შემწირველთ ჰგონიათ, რომ ეს დავთრები მათ მთავრობისაგან აქვსთ მიცემული და, მართლაც, ძვირად თუ ვინმე უარს ეუბნება მათ შეწირულების მიცემაზე... ნამდვილ კი ეს დავთრები მათი საკუთარი შედგენილია. დროა საზოგადოებამ თვალი გამოახილოს და ეს ერგთი მცარცველები გაძეოს.

შენიშვნა შენიშვნაზე.

გაზეთის «Нов. Обоз».—ის №1813—ში ჩვენ წავიკითხეთ ერთი შენიშვნა, რომლის ავტორი მოგვითხრობს შემდეგს: «თავისი მწყემს-მთავრული მოქმედების პირველ ნაბიჯიდგან საქართველოს ექსარხოსმა, არქიეპისკოპოსმა პალლადიმ, სხვათა შორის, მიაქცია ყურადღება საეკკლესიო ქონებათა და ქრისტიანულ ძველ ნაშთა დაცვას».

ეს მართლაც სასიამოვნო ფაქტია, რომელიც დღეს ყველასათვის ცხადია. შემდეგ შენიშვნის ავტორი განაგრძობს:

«რომ ღირსეულად დაფასდეს ამ ზომის მნიშვნელობა, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ თუნდა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ დრომდე, რადგან ეკკლესიებში არ იყო ჯეროვანი სიები ეკკლესიურ ქონებათა, საკვირველი სისწრაფით იკარგებოდენ ძვირფასი ნივთები და საგნები, რომლებიც შემდეგში ჩნდებოდენ ევროპის სხვა და სხვა მუზეუმებში».

შენიშვნის ავტორი ტყუილად აბრალებს ამ ძვირფას ნივთების დაკარგვას სიების უმქონელობას ტაძრებში და მონასტრებში; ამისთანა სიები დიდიხანია იმქონებიან ტაძრებში და ამ ბოლოს დროს უწმიდესი სინოდის განკარგულებით საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორამ განაახლა ეს სიები საქართველოს საექსარხოსოს ყველა შესანიშნავ მონასტრებში და ტაძრებში; მაგრამ სიებმა მაინც ვერ გადაარჩინეს ტაძრები და მონასტრები ზოგიერთ ძვირფას ნივთთა გაპარვისა და გაცარცვისაგან. ძლიერ გვიკვირს, რომ ამ შენიშვნის ავტორმა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა უფრო ნამდვილი და საპატიო მიზეზები ამ ცარცვა-გლეჯისა....

შემდეგ შენიშვნის ავტორი აქებს და ადიდებს ბ. საპინინს და მ. ბენედიქტეს (ბარკალაია), რომელთაც ვითომ ბევრი იშრომეს და ილვაწეს ტაძრებისა და მონასტრების გამშვენებისათვის. ძალიან კარგს იზამდა შენიშვნის ავტორი, რომ დაესახელებია ის მონასტრები და ტაძრები, რომლებიც გაამშვენეს და მორთეს ზემოთ აღნიშნულმა პირებმა. მაგრამ ამაზე არასფერს არ ამბობს ავტორი და ჩვენ კი არ ვიცით ამ გვარი მონასტერი და ტაძარი მთელს საექსარხოსოში. მართალია, ბ. საბინინმა იმ შეწირულებაებით, რომელთაც ის ჰკრებს რუსების გულუხვ შემწირველთაგან, შეიძინა ზოგიერთი ნივთები ბოდბისის საკრებულო ტაძრისათვის, მაგრამ თუ, მივიღებთ სახეში იმას, რომ ბ. საბინინი, კაი ხანია, ამ შეწირულებათა ჰკრებს, ჩვენ უფრო ბევრს მოველოდით არა მარტო ბოდბისის ტაძრისათვის, არამედ საექსარხოსოს სხვა ტაძრებისა და მონასტრებისათვის. რაც შეეხება ბ. ბენედიქტეს, სინამდვილით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მას როგორც საქართველოში, ისე მთელი რუსეთის იმპერიაში არავითარი შეწირულება არ მოუხდენია მონასტრების და ტაძრების გამშვენებისათვის, თუმცა ისიც დიდძალ შეწირულებათა კრებს მართლ-მადიდებელ ქრისტიანთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკროლოგი.

* 31 მარტს ღვიძლის ავად-მყოფობით გადაიცვალა სუხუმის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გენნადი. სულ ორი წელიწადი და სამი თვეა, რაც განსვენებული დაინიშნა სუხუმის სამღვდელ-მთავრო კათედრაზედ. შემდეგ, სემინარიაში კურსის შესრულებისა, იგი შედგა ბერად და ოცდა ათი წელიწადი სცხოვრებდა სამეგრელოს სერგიევის ლავრაში. ამ ხნის განმავლობაში მ. გენნადიმ არა ერთხელ მიიქცია უმაღლესი სასულიერო მთავრობის ყურადღება თავისი წმიდა ცხოვრებით და რამდენიმე ჯერ მიეცა მას წინადადება, რათა მიედო მღვდელ-მთავრის ხარისხი, მაგრამ მ. გენნადი ყოველთვის უარს აცხადებდა ამაზე. ბოლოს უმაღლესის ბრძანებით განსვენებული დაინიშნა ეპისკოპოსად სუხუმის კათედრაზე. მისი მღვდელ-მთავრად ხელ-დასხმა მოხდა 28 დეკემბერს 1886 წელსა. ხელ-დასხმის შემდეგ მისმა მადალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანნიკემ, კვერთხის ჩაბარების დროს, შესანიშნავი სიტყვა უთხრა ყოვლად სამღვდელო გენნადის. აი ზოგიერთი ადგილები ამ სიტყვისა:

«სხვა სამწყსოებთან შედარებით დიდი არ არის სამწყსო, რომელიც დღეს შენ მხედველობასა და ხელ მძღვანელობასა ქვეშე გადმოდის; მაგრამ ეს სამწყსო მოითხოვს შენგან თუ არა მეტს, არა ნაკლებ შრომას, მოთმინებას და თავ-განწირულს სიყვარულს სხვა ერცელ სამწყსოებთან შედარებით. Oითქმის ნახევარი ნაწილი მკვიდრთა, რომელნიც სცხოვრებენ თქვენ დამო რწმუნებულ სამწყსოში, გარემოცულია სხვა-და-სხვა ამაო რწმუნებითა და სწავლითა; უმეტეს მათგანს არ ესმის, თუ რა სწამს მას და რაზეა დამყარებული მისი იმედი. ბევრს მიღებული აქვს მართლ-მადიდებელი აღსარება, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მტკიცედ დამკვიდრებულნი სარწმუნოებაში: მათ იმდენად გაეგებათ ქრისტე მაცხოვრის მოძღვრება, რამდენათაც პატარა ბავშეს ესმის მის გარეშემო მომხდარი მოვლენებანი. როგორც პატარა ბავშვისთვის რძეა საჭირო, ისე იმათთვის საჭიროა პირველ დაწყებითი სწავლა-მოძღვრებანი სარწმუნოებაზე. ეკრძალე ღვთის-მიერ საყვარელო ძმაო, და ნუ შეურაცხჰყოფ მცირეთა მათგანს. დღეიდამ ყოველი შენი ძალა უნდა შესწირო მათი ცხოვნების საქმეს, რომ შენ უშიშრად შეგეძლოს წარსდგე დიდების მეფის საშიშარ ტახტის წინაშე და გაბედვით უთხრა მსაჯულს: აი აქ არიან ყმანნი, რომელნიც მომე მე. Oამისათვის არ არის საჭირო არც ღრმა და ერცელი სწავლა-განათლება, რომლის გაგება და შეთვისება არ შეუძლია დაბალს და უმეცარ ხალხს, არც უმაღლესი ქადაგებითი სიტყვის ნიჭია საჭირო, რადგან ეს უკანასკნელი გაუგებელი იქმნება დაბალი ხალხისათვის, რადგან ის არ არის მომზადებული ამისათვის და არც ის ენა ეცოდინებათ, რომელზედაც შენ უნდა ელაპარაკო მათ. Oავდაპირველად იზრუნე, რომ შენში აღძრა თავ-განწირული სიყვარული შენი სამწყსოისადმი და გქონდეს ჭეშმარიტი სურვილი, რათა შენი სამწყსოის კეთილ-დღეობისათვის შენი თავი შესწირო».

ჭეშმარიტად სინამდვილით აღსრულებდა განსვენებული მღვდელ-მთავარი გენნადი მიტროპოლიტის იოანნიკეს ამ მშვენიერ დარიგებითი სიტყვას. განსვენებული სწორედ მაგალითი იყო მისდამი რწმუნებული სამწყსოსათვის თავისი წმ. ცხოვრებით და გასაოცარი უანგარობით. იგი ნიადაგ ზრუნავდა თავისი სამწყსოის წარმატებისათვის და ეკლესიების გამშვენებისათვის, რაზედაც უხვად ხარჯავდა ფულს თავის საკუთრებიდამ. ყოველივე თავის შემოსავალს და საჩუქარ ფულებს, სხვა-და-სხვა მღვდელ მოქმედებისათვის, იგი ადგილობით ღარიბ ეკლესიებს სწირავდა. მრავალი კეთილი საქმე დაიწყო განსვენებულმა და მრავალის კეთილის დაწყებას ფიქრობდა, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა ადარ დააცალა. მთელი მისი სამწყსო სიმწუხარით გლოვს ამისთანა საყვარელი მწყემს-მთავრის დაკარგვას და სასო-

ებს, რომ განსვენებულის ადგილზე მალე დაინიშნება ახალი მღვდელ-მთავარი, რომელიც მტკიცედ დაადგება განსვენებულის კვალს და სისრულეში მოიყვანს მის კეთილ განზრახვათა.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია სუხუმიდამ.

31 მარტს გადაიცვალა სუხუმის ეპისკოპოსი ყოვ. სამღვდელო გენნადი, რომლის დასაფლავება დანიშნული იყო ოთხ-აპრილისათვის. განსვენებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მინდობილებით მობრძანდა სუხუმში ზურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი ყოველად სამღვდელო ზრიგორი. სამს აპრილს მათი მეუფება მიბრძანდა ათონში, სადაც ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში მიეგებენ მათ მეუფებას მონასტრის წინამძღვარი, დეკანოზი დავით მაჭავარიანი და მონასტრის ძმანი.

მეორე დღეს, 4 აპრილს, დილის ცხრა საათზე ყოველად სამღვდელო ზრიგორი წაბრძანდა წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარში, სადაც ესვენა განსვენებული. ტაძარში შეიკრიბა მრავალი ხალხი. მწირველი ბრძანდებოდა ყოველად სამღვდელო ზრიგორი მონასტრის წინამძღვრის იერონის, დეკანოზების მაჭავარიანის, მაჩაროვის და ახვა მღვდელ-მონაზონებითურთ. განიცადენის დროს ერთმა ბერ-მონაზონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ვრცლად იყო აღწერილი ყველა სასარგებლო მოღვაწეობანი ასე უდროოდ განსვენებულის ყოველად სამღვდელო გენნადისა. წირვის გათავების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ყოველად სამღვდელო ზრიგორიმ. მათმა მეუფებამ საკმაოდ განმარტა, თუ როგორ მეცადინეობდა განსვენებული ეპისკოპოსი გენნადი მისდამი რწმუნებული ეპარქიის კეთილ-დღეობისათვის. აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ განსვენებულის ბევრი სურვილი და ნატვრა, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დაეხსნა მისდამი რწმუნებული სამწყსო იმ უმეცრებისა და არა სანატრელი მდგომარეობიდამ, რომელშიაც ჩააგდო იგი დროთა ვითარებამ, შეუსრულებელი დარჩა. განსვენებული სცდილობდა, რომ სუხუმის ეპარქიაში დაეარსებია სასულიერო სასწავლებელი აფხაზების შვილთათვის, მაგრამ მისი ცდა არ აღსრულდა. ეავის ჯამაგირის უმეტეს ნაწილს განსვენებული ახმარებდა ღარიბებს, რომელნიც ყოველთვის იღებდენ მათი მეუფებისაგან ნივთიერ შემწეობას.

წესია აგების შემდეგ განსვენებული დაასაფლავეს ტაძარშივე. ამის შემდეგ ყოველად სამღვდელო ზრიგორიმ დაათვარიელა მონასტრის წისქვილი და საკრებულო ტაძარი, რომელიც ეხლა შენდება და რომელსაც სიგრძე აქვს ოცი საჟენი და სიგანე 15.

საღამოზე ყოველად სამღვდელო ზრიგორიმ მიიღო ცნობა მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსისაგან, რომ შეედგინათ სია განსვენებულის ყველა ქონებათა. ამისათვის ყოველად სამღვდელო ზრიგორი წაბრძანდა სუხუმში, შეასრულა ეს საქმე და ხუთ აპრილს გაემგზავრა ფოთში.

სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის ნაწარმოებთა

კავკასიის ზამოფენა

1888 წელში.

გამოფენის წესები და პროგრამმა.

პროგრამმა. *)

(დასასრული).

განყოფილება VIII: მიწათ-მოქმედების იარაღები და მანქანები.

ჯუნდი 60. ზუთნები ყველა მომართულობით: ადგილობრივი (ზუთნები, ჯილხა, ორხელი, და სხვ.)

*) იხ. «მწყემსი»-ს № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაუკეთესებული, ულირლიტო, ლირლიტიანი, ერთ-სახნისიანი, მრავალ-სახნისიანი და სხვ. აჩეჩები: ადგილობრივი (აჩეჩი, ძიბირი, ოქოქა, აროარი, ჩუთი, კავი და სხვ.) და გაუკეთესებული.

გუნდი 61. თესლის მიწაში დასამალავი და მიწის მსუბუქად ასაშლელი იარაღები: ფირცხი, ტაფანი, ტაფი, მალა, ფორჩხი და სხვ. რკინისა და ხის ფარცხები, მრავალ-რიგოვანი და ადგილობრივი ერთ რიგოვანი ფარცხები (მანგარი, დირმახი და სხვ.)

გუნდი 62. იარაღები, რომელნიც მცენარეთა მოვლაში იხმარებიან: აჩეჩები, ექსტირპატორები, მიწის შესაყრელები და სხვ. იმავე საქმეში სახმარი ხელის იარაღები: თოხები და სხვ. რუეების საკეთებელი იარაღები: მარკოსი, მარგიზი და სხვ.

გუნდი 63. იარაღები და მანქანები სამკალი, სათიბი და შესაგროვებელი: ცელები, ნამგლები, ფოცხები, ორთითები, სამკალი და სათიბი მანქანები, ცხენის ფოცხები, თავის საქცევები, საქაჯავები თივისათვის, მატყლისათვის, ბამბისათვის, ზეთისათვის და სხვ.

გუნდი 64. ლეწვისა და მარცვლის გასარკვევი იარაღები: კევრები, ჯარჯარები, საბეგვები, სიმინდის საცეხვები და სხვ. საჩენჩი, სარჩევი, ცხრილები, ფიწლები, ნიჩბები და სხვ. სალეწი, სანიავებელი ადგილობრივი (ჩიხრიხი, ჯაკრიხი და სხვ.) და გაუკეთესებული სხვა და სხვა რიგისა.

გუნდი 65. მარცვლის საფცქვნელი და საწმენდი იარაღები: საღერღი, ტინგი, (ბრინჯისთვის), წისქვილები, მისი მოძრაობაში მომყვანი იარაღი და სხვა მომართულობა.

გუნდი 66. მოწყობილობა მარცვლისა და ბჩის გასახმობად და შესანახად: ორმოები, ყუთები, ხულა; ტომრები, ამბრები, სიმინდის ძარები, საბძლები და სხვ. მოდელები ან ნამდვილი ზომისა.

გუნდი 67. სხვა-და სხვა იარაღი და მომართულობა წყლის ასაწევად: ყუთებიანი ბორბლები, ტურბინები, ქიარიზები, წყლის ამბრები და სხვ. ადგილობრივი ხელობისა და გაუკეთესებული, მოდელები ან ნამდვილი ზომისა.

გუნდი 68. მოძრაობაში მომყვანი იარაღები: ქარისა, წყლისა, ორთქლისა, ცხენისა და ხელისა.

გუნდი 69. სოფლის-მეურნეობაში ტვირთის საზიდები: ურმები, პოვოზკები და სხვ. საპალნით ტვირთის საზიდი მომართულობა. საქონლისათვის საკვების მოსამზადებელი იარაღები: ნამჯისა თუ თივის საკეპები და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ განყოფილების ექსპონენტებად ყოფნა რუსეთისა და უცხოეთის ფირმებსაც შეუძლიან.

განყოფილება IX: საშინაო, სახელოსნო და საფაბრიკო მრეწველობა.

ა) საშინაო და სახელოსნო ნაწარმოები.

ლითონისა და თიხის ნაკეთობა.

გუნდი 70. ჩილინგდარის ნაწარმოები: კლიტეები, საკეთები, ურდულები, ჩანგლები, ცულები, ჩაქუჩები, დანები, უზანგები და სხვ.

გუნდი 71. მჭედლის ნაწარმოები: ნალები, ლურსმები, ჯაჭვები, სახნისები და სხვ.

გუნდი 72. თუნუქისა და თუთიის ფურცლიდგან ნაწარმოები.

გუნდი 73. სპილენძის ნაწარმოები: სხვა-და-სხვა ჭურჭელი და სხვ.

გუნდი 74. ხმალი, ხანჯალი და სხვ. უცეცხლო იარაღი.

გუნდი 75. თოფ-იარაღი.

გუნდი 76. ოქროსი, ვერცხლისა და ჯავაირჩის ნაწარმოები.

გუნდი 77. მეჭურჭლის ნაწარმოები; სხვა-და-სხვა ჭურჭელი და სხვ.

მცენარეული მატყლისა, მატყლისა, თივთიკისა და აბრეშუმის ნაწარმოები.

გუნდი 78. მატყლისა და ბამბა-ნარევი მატყლის ნაწარმოები:

ა) მაუდები, შალები, თივთიკები, ხელსახოცები და სხვ.
ბ) ხალები, ფარდაგები, ქეჩები და სხვ.
გ) მოსასხამი ნაბდები, საფენი ნაბდები, ქუდები და სხვ.

გუნდი 79. ნართავი, ნაქსოვი და სხვ. ნაწარმოები ბამბისა, კანაფისა, სელისა და სხვ. ამერიკა, ტილო, თოკები, ძაფები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდი 80. აბრეშუმის ნაწარმოები: ხელსახოცები, ყანაოზები და სხვ.

გუნდი 81. ქსოვილების შეღებვა და დაჩითვა.

სახელოსნოების ნარევი ნაწარმოები.

გუნდი 82. ტყავები: ჩექმებისა, უნაგირებისა და ცხენის იარაღის ხელობა; ტიკები, რუმბები, თულუხები და აგრეთვე სხვა ნაკეთობა.

გუნდი 83. ნაკეთები ცხვრის ტყავები და ბეწვეული; მექუდეების ხელობა.

გუნდი 84. მერძისა და მკერვლის ხელობა: შეკერილი ტანისამოსი, თეთრეული და ხხვ.

გუნდი 85. ძარგვა, ქსოვა, ხელოვნური ყვავილების კეთება და სხვა ხელსაქმე.

გუნდი 86. ბუზმენტებისა და ჩაფარიშების წარმოება.

გუნდი 87. ძაზმის ხელობა და კარტონისაგან ნაკეთობა.

გუნდი 88. საკრავი იარაღების წარმოება.

გუნდი 89. სარკის ავეჯის (მებელის) წარმოება.

გუნდი 90. ყუთების ხელობა, ხარატისა, ფუტლიარების ნაკეთობა—რქისა, ხისა, ჩალისა, მავთულისა და სხვა მასალისაგან.

გუნდი 91. ძანდიტერის ხელობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ განყოფილებაში გამოფენაზედ მიუშვებენ ხელოსნებსა და მოხელსაქმეთა თავიანთ იარაღებით და მომართულებით წარმოდგენილი ხელობის ასაღხნელად და საჩვენებლად.

ბ) ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწარმოები.

გუნდი 92. სხვა-და-სხვა ხორბლისა და სხვა-და სხვა რიგი ფქვილი, ქატო, ბურღული, კრუპა და სხვ.—ყველა რიგისა თითო ფუთზედ არა ნაკლები. მაკარონი, ვერმიშელი.

გუნდი 93. სახამებელი და კარტოფილის ბადაგი.

გუნდი 94. მცენარეული ზეთი: კუნჯუთის, სელისა, კანაფისა, გენაგელჩაკისა, ბოლოკისა, კაკლისა, ლაქლაქისა და სხვ.—დაუწმენდავი და დაწმენდილი, ყველა რიგისა ხუთ გირვანქაზედ არა ნაკლები.

გუნდი 95. სასმელები.

ა) პურის არაყი, სპირტი, ლიკორები და სხვა.

ბ) ლუდი, პორტერი, კვ სი და სხვ.

გ) მაღნეული წყლები, შუშხუნა და გამაგრილებელი სასმელები.

გუნდი 96. თამბაქო დაჭრილი და დაფხვნილი, აურნუთი, სიგარები და პაპიროსები.

გუნდი 97. სანთელი: ქონისა, ცვილისა, (წმინდა) და სტეარინისა.

გუნდი 98. საპონი და კოსმეტიური ნაწარმოები.

გუნდი 99. ტყავი და ტყავის ნაწარმოები.

გუნდი 100. ხიმიური ნაწარმოები: საღებავი, ლაქი, წუმწუმა და სხვ.

გუნდი 101. შუშის ნაკეთობა.

გუნდი 102. ქსოვილები ბამბისა, აბრეშუმისა და სხვა ძაფეულისა.

გუნდი 103. შენობის მასალა: აგური, კრამიტი, მილები, კაფელი, კარი, ცემენტი და სხვა.

გუნდი 104. იარაღი და მოწყობილობა ანუ მათი მოდელები მოხსენებული სახელოსნო და ხელსაქმარი ნაწარმოების საკეთებლად. სურათები ფაბრიკებში ხმარებული იარაღისა: საჩითავისა, საფეიქროსი, მებელის საკეთებლისა, ჯავაირჩისა და სხვა. თხზულებანი ამ ქვეყნის ხელსაქმარისა, ხელოსნობისა და ფაბრიკულ-ქარხნულ მრეწველობის შესახებ დაწერილნი.

განყოფილება X: სამთო.

გუნდი 105. ნავთი: დაუწმენდავი და დაწმენდილი მისგან წარმოებული მასალა; ასფალტი, კირი, ოზოკერიტი, ნევთოგილი.

გუნდი 16. მიწიდგან ამონათხარი საწვავი მასალა: ქვა-ნახშირი, ანტრაციტი, ლიგნიტი, ტორფი.

გუნდი 107. ლითონის ზოდები:

ა) რკინის ზოდები; თუჯი, რკინა, ფოლადი; იმ ნივთების ნიმუშები, რომელიც რკინის მადნის წინამორბედია (მაჩვენებელი). თუჯისგან ჩამოსხმული საგნები და სხვა-და სხვა ქარხნეული რკინისა და ფოლადის ქარხნების ნაკეთობა.

ბ) სპილენძისა და თუთიას მადნები, და მათი შემუშავების შედეგები. სპილენძის ფურცლები და სხვა, თუთია. ნიმუშები იმ ნივთებისა, რომელიც ამ მადნების წინამორბედია (მაჩვენებელი).

გ) ტყვიისა, ვერცხლისა და კობალტის მადნები; მათი მყოფობის მაჩვენებელი ნივთების ნიმუშები;

მათგან ნაწარმოები საგნები; ფლიუსებისა. ცეცხლ-მოყვარეპული თახისა და ქვის ნიმუშები.

გუნდი 108. ოქროს ქვიშისა და ძარღვების ნიმუშები.

გუნდი 109. ქვა-გუნდისა (შავი-ქვისა) და დარიშხანის მადანი და მათგან ნაწარმოები ნივთები.

გუნდი 110. გოგირდის ნიმუშები და მის უკან მომდევარი მადნეულობა, გოგირდოვანი მჟაველი.

გუნდი 111. საჭმლის მარილი: ქვა-მარილი და ბუნებით თით წარმოებული. მწარე მარილი, შაბ-მარილი, ბურა.

გუნდი 112. ქვები: შაბის-გვარისა და შაბი; ლიტოგრაფიისა; პუდინგოვანი მარმარილო და ობსიდიანი. სხვა-და-სხვა მთის ქვების ნაკეთობა.

გუნდი 113. გეოლოგიური რუკები და განაჭრები იმის ჩვენებით, თუ მადნეული საწვავი მასალა სად ჩნდება, მადნეული სადა, მარილები და ქვები სად და სხვა. მოდელები, ნახატები და ფოტოგრაფიული სურათები შესახებ სხვა-და-სხვა მადნეულის ამოღებისა და მათი შემუშავებისა (გადახალისებისა).

განყოფილება XI: საპედაგოგიო-პროფესიონალური.

გუნდი 114. სახელოსნო ნაკეთობა მოწაფეთა: საჩილინგდრო, სამჭედლო, სადურგლო და სხვ.

გუნდი 115. საქალო სასწავლებლების მოწაფეთა ხელსაქმე.

გუნდი 116. სოფლის მეურნების წარმოებათა ნაკეთობა სკოლებში.

გუნდი 117. სამხატვრო და ტეხნიკური სურათები და ნახატები საქალო და სავაჟო სასწავლებლების მოწაფეთა.

საიმპერატორო მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოება.

მოსკოვის საიმპერატორო არხეოლოგიური საზოგადოება მიჰმართავს ყველას, ვისაც-კი რამ ძველი საისტორიო ნივთი აქვს, მიიღოს მონაწილეობა მერვე საარხეოლოგიო კრებაში და გაუგზავნოს თავისი კოლექცია გამოსაფენად. აი თვით წერილი მიმართვისა: «იანვარში 1890 წ. საიმპერატორო მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოება დღესასწაულობს 25 წ. იუბილეის თავის არსებობისას. ამ დღესასწაულისთვის საზოგადოებას მიეცა ნება მოიწვიოს მე-VIII არხეოლოგიური კრება მოსკოვში და გამოჰფინოს კერძო კოლლექციები საისტორიო მუზეიში, რომელიც იმყოფება მის იმპერატორებით უმაღლესობის დ. მ. სერგეი ალექსანდრეს მის მფარველობის ქვეშ. მოსკოვის არხეოლოგიურს საზოგადოებას იმედი აქვს, რომ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, მიიღებთ მონაწილეობას ამ გამოფენაში და ინებებთ ამის შესახებ ახლავე პასუხის მიცემას და თანაც აცნობებთ საზოგადოებას, რა ნივთებისაგან შესდგება თქვენი სიძველეთა კოლლექცია.

ამასთანავე საზოგადოება ჰრაცხს თავის ვალად გაცნობოთ პირობანი გამოფენათა შესახებ, რომელნიც წარსულს კრებაზედ შემუშავებულ იქმნენ:

1) ნივთები, გამოფენისთვის დანიშნულნი, უნდა გამოგზავნილ იქმნას მოსკოვის ისტორიულს მუზეიში ივნისს 1889 წ., რათა გამოფენის გამგებელ კომიტეტს შეძლება მიეცეს მოასწროს მიღებულ ნივთების რიგზედ მოყვანა და მათის კატალოგის შედგენა.

2) სკივრებზედ, რომელშიაც ჩაწყობილი იქნება ნივთები, უნდა დაკრული იყოს სახელი პატრონთა და შიგ სკივრში ჩადებული იყოს სია გამოგზავნილ ნივთთა.

3) გამოგზავნა მოსკოვში და უკანვე დაბრუნება ნივთთა შეიძლება წარმოებულ იქმნას საზოგადოების ხარჯზედ.

4) გამოფენა დანიშნულია ოქტომბერში 1889 წ. და გაგრძელდება იანვრამდე 1890 წ., რის შემდეგ ნივთები სუფთად ჩალაგებულნი უკან გამოგზავნილ იქმნებიან.

5) იმ პატრონთა, რომელთაც ჰსურთ გაჰყიდონ თავიანთი კოლლექციები, საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს აცნობონ, ნივთების გამოგზავნისათანავე, ამის შესახებ და ფასიც შეატყობინონ.

6) კომიტეტი მიიღებს ყოველს მისგან დამოკიდებულს ღონისძიებას, რათა დაიცვას გამოგზავნილი ნივთები.

თავსმჯდომარე გრაფინია უვაროვისა
მდივანი ვ. ტრუტოვსკი

ახალი ამბები და შენიშვნები.

სოფლის ჩხოროწყუს ერთი მრეველთაგანი, სხვათა შორის, გვწერს: «ადგილობითმა მღვდელმა მ. ნიკოლოზ ახალაიამ თავისი მეცადინეობით და შრომით წესიერად შეამკო ჩვენი ღარიბი ეკლესია». ღმერთმა ქმნას, რომ ამ კეთილს მწყემსს მრავალი მიმბაძველნი აღმოუჩნდეს ჩვენს საქართველოში.

* * *

ჩვენ არა ერთ გზის გამოგვითქვამს ის აზრი, რომ ჩვენი სამღვდელოების უმეტეს ნაწილს სურვილი აქვს ჟურნალ-გაზეთების კითხვისა, მაგრამ ამ სიამოვნებას იგი მოკლებულია თავისი ნივთიერის სიღარიბისა გამო. ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად მოვიყვანთ აქ ერთი მღვ. ალექსანდრე ნასიძის წერილს შეუცვლელად. აი ეს წერილი:

«ბატონო რედაქტორო! წელიწადი ახლა შესრულდა, რაც სიღნაღის ბაზრის ს. მაღაროდგან დიაკვნობის ხარისხიდამ მღვდელობის ხარისხით გადმოყვანილ ვიქმენ გორის მაზრის ს. დგვრისში. 1883 წლიდან გამოიცა თქვენ მიერ ფრიად პატიეცემული გაზეთი «მწყემსი», რომელ დროიდგანაც ეკითხულობდი მას სოფელ მაღაროს, ხოლო, ჩემდა სამწუხაროდ, რაც აქ გახლავარ, არ წამიკითხავს.

ჩემდა რწმუნებული წმ. გიორგის ეკლესია ისე შეუბრალებლად გაცარცული და გატყავებული დამხვდა, რომ კაცი ვერ წარმოიდგენდა, ვერ იფიქრებდა, თუ ამ ეკლესიაში უმსახურნია წინამძღვრად სამღვდელო პირს, როდესაც, ეგონებ, უბრალო ერის კაცს, რომელსაც ქვის გული აქვს, ისიც კი შეიბრალებდა და არ მოეპყრობოდა ასეთი შეურაცხებით და უპატიოდ ტაძარსა ღვთისასა, არამც თუ სამღვდელო პირი.

მე მახსოვს სამარადისოდ შემდეგი საღმრთო სიტყვა: «უფალო, შეეიყვარე შვენიერება სახლისა შენისა და აღდგომილი საყოფელი დიდებისა შენისა». Oარიელის ლიტონის სიტყვით კი არა, ეს საქმით უნდა მტკიცდებოდეს. როგორათაც სარწმუნოება თვინიერ უკეთილ საქმოთ მკვდარ არს, ავრეთვე ესეც ისე არის. ჩემს წინამოადგილეს ეს საგანი უმნიშვნელოთ დაუნახავს და მიუღია და ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ტაძრის გამშვენებისათვის და მის შინაგან გაწყობილებისათვის.

დღიდგან მოსვლისა ჩემისა ახალს სამწყსოში, ჩემი თავი ვალდებულ ვყავ და შეუდეგ ეკლესიის ჯერ ნივთიერათ ნაკლულევანობის შემსებას და კიდეც შევამსევი, ახლა ტაძრის შინაგან გამშვენებაა ხელი მიეყავი და იმედი მაქვს ყველა სისრულეში მოვიყვანო; ეს ხომ ახლა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ამ ეკლესიას აქამომდე ვერ უწერნია გაზეთი და ვერც ახლა იწერს სიღარიბისა გამო, ურომლისობა ჩემის აზრით, ეგონებ, ყოველად შეუძლებელია და ჩემი მხრითაც ფრიად მოუთმენელი. რაზედაც ჩემს თავს ვალდებულად ვრაცხამ, რომ აუცილებლად უნდა გამოვიწერო გაზეთი «მწყემსი». ამიტომ ახლა ამასთანავე მოგართმევთ ერთ მანეთ ფულსა; ჩემს წერილშეილებს მეტი ვერ მოვანარჩუნე, და ოთხ მანეთსაც შემდეგ მოგართმევთ და უმორჩილესად გთხოვთ მიბოძოთ მხოლოდ მარტო ქართული გაზეთი ამ 1889 წლის იანვრიდგან, ვიდრე დაბოლოებამდე ამავე წლისა».

ამ წერილს განმარტება არ ეჭირება.

ჩვენ, დღიდგან ჩვენი გაზეთის დაარსებისა, ყოველთვის ყურადღება გვქონდა მიქცეული ასეთ შეუძლო მღვდელთაოვის და ამიტომ იმ ბლაღოჩინს, რომლის საბლაღოჩინოშიაც ვნიშნავდით ასეთ ღარიბ მღვდლებს, უგზავნიდით ხოლმე თითო მეტ ნომერს, რომ ეს ნომერი გადაეცა ბლაღოჩინს ღარიბი მღვდლებისათვის წასაკითხად. ჩვენის მხრით ესეც საკმაო იყო. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთმა ბლაღოჩინებმა არა თუ შემწეობა და დახმარება ალმოგვიჩინეს ამ საქმეში, პირიქით ისინი კიდეც უშლიდენ სამღვდელოებას ჟურნალის გამოწერას და ჩვენ კი გვწერდენ: «ჩვენი საბლაღოჩინოის მღვდლებს ნება მიეცით «მწყემსი»-ს გამოწერისა და ისინი თვითონ გამოიწერენ თქვენს გაზეთსაო». ამასაც ისეთი დამადლებით იწერებიან ზოგიერთები, თითქო მართლა მათზე იყოს დამოკიდებული ამ გვარი ნება-რთვის მიცემა. შემდეგში ჩვენ გავაცნობთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ამისთანა «მოღვაწე» და «თანამგრძნობ» ბლაღოჩინებს. ხოლო ჩვენ შემდეგშიაც ვეცდებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ღარიბი თანამოძმე მღვდლების სურვილი.

*
* *

ათონის ქართველთა იოანნე ღვთისმეტყველის სავანიდგან ჩვენ მივიღეთ ერთი წერილი, რომლის დაბეჭდასაც ავტორი გვთხოვს ჩვენ ჩვენს გაზეთში. აი ეს წერილი: « მ. რედაქტორო! ყველამ კარგად იცის, რომ მ. ბენედიქტემ (ბარკალაიამ) კარგა ძალი ფული მოაგროვა ათონის ქართველთა სავანის სასარგებლოდ საქართველოში. ვიცით აგრეთვე, რომ მ. ბენედიქტეს მრავალი შეწირულება მოუდის ამავე მიზნით რუსეთის მართლ-მადიდებელ, კეთილ მორწმუნე და გულუხვ კეთილ-მნებებელ შემწირველთაგან ქ. ქუთაისში, სადაც მ. ბენედიქტე უმეტეს ნაწილად სცხოვრობს. როგორც გაგვიგონია, ამისთანა შეწირულებანი. მ. ბენედიქტეზე გადასაცემად ერთ დროამდე მოდიოდა ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის სახელზე და ეხლა, როგორც ხმები ისმის, ეს შეწირულებანი იგზავნებიან ერთი ქუთაისელი ეაჭრის სახელზე. ძლიერ კარგს ინებებს ბ. ბენედიქტე, რომ იგი ანგარიშს მისცემდეს საზოგადოებას ამ შეწირულებათა რაოდენობაზე და მათ მოხმარებაზე დანიშნულებისაებრ. ჩვენ ამას ეაცხადებთ არა იმისათვის, რომ რაიმე ეჭვი გვქონდეს მ. ბენედიქტეზე. არა; ამისთანა ანგარიში ერთის მხრით მოსპობს იმ ცუდ ხმებს, რომელიც საზოგადოებაში არის გავრცელებული, ხოლო მეორეს მხრით გამოიწვევს ათონის მონასტრის სასარგებლოდ უფრო ბევრ შეწირულებათა».

ჩვენის მხრით ამ წერილს განმარტება არ ეჭირება და ძლიერ კარგს ინებებს ბ. ბენედიქტე, რომ აღასრულებდეს წერილის ავტორის კანონიერს მოთხოვნილებას. მაცხოვრის სიტყვისაებრ, მართალია, გაცემული და შეწირული ფულის ანგარიშს არავინ არ უნდა თხოულობდეს, მაგრამ დღეს სულ სხვა დროა, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ და ამიტომ ყველას ეალია ესეთი ეჭვები განაქარწყლოს. ჩვენ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ მუქთად ამისთანა ანგარიშებს.

*
* *

ჩვენ ნამდვილათ შევიტყეთ, რომ ქუთაისში რამდენსამე ნასწავლ ყმაწვილ კაცს განუზრახავთ წელიწადში გამოსცენ ერთი-ორი წიგნი თავიანთისავე ხარჯით. განზრახვა საქმედ ქცეულა და ამ ცოტა ხანში დაიბეჭდება ქუთაისში პირველი წიგნი, რომლისათვისაც ცოტა უხვერო სახელი დაურქმევიათ—«ცდა». თუ შინაარსს მივაქცევთ ყურადღებას, ამ წიგნში იქნება შემდეგი სტატიები: 1) ერეკლე მეორე, როგორც სარდალი—თხზულება ალექსანდრე ბარსეანაშვილისა. 2) სვანები ბარათ—თავისუფალი სვანისა. 3) ძორწინება (სოციალოგიური მიმოხილვა)—დავით ქარიჭაშვილისა. 4) და-ძმა (მოთხრობა მირამოსი ფრანგულიდგან)—პეტრე ყიფიანისა. 5) პესტალოცის ცხოვრება (თარგმანი)—თომა მთაერიშვილისა. 6) ბიბლიოგრაფი—პოლიეკეთ ქვიცარიძისა.

შემდეგისათვის სხვა ავტორებიც მიიღებენ მონაწილეობას.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე

სიტყვა

აღდგომის ორშაბათს. *)

ქრისტე აღსდგა!

ვითარი ნათელია! ვითარი მაღალი სიხარულია! ვითარი საღმრთო შვება! ვანვიწმინდეთ სული ჩვენი საიდუმლო სინანულითა, შევუერთდით უფალსა ჩვენსა წმ. ზიარებით და ჩვენ, ძმანო, შემდეგ მარხულობისა და სინანულისა მივეგებეთ წმ. ქრისტეს აღდგომასა—«დღესასწაულთა დღესასწაულს». რა მოუთმენელობით მოელიან ყველანი ჩვეულებრივ ამა დღესასწაულთა მეფეს! ბევრ ჩვენგანს დღესასწაულის პირველ ღამეს, გამოუთქმელის სიხარულით სავსეს, სრულიად არ სძინებია, ხოლო იმ წამიდამ, როდესაც წმიდა ეკკლესიის ბაგეთაგან პირველად გავიგონეთ სანატრელი ამბავი: ქრისტე აღსდგა! საღმრთო აღტაცებით გავიმსჭვალენით ყველანი,—სიხარული, რომელმაც აღავსო სული ჩვენი, გამოგვესახა ჩვენს სახეზე და შვება, ფრიად აღმავსებელი გულთა ჩვენთა, გამოითქვა სადღესასწაულო საგალობლებში.

ძმანო, რამდენათაც დიდია და მაღალი დღესასწაული, იმდენად წმიდა და კეთილ გონიერი უნდა იყოს ჩვენი სიხარულიც,—იმდენად ყურადღებით უნდა ვიძიებდეთ ნამდვილად შევხარით მას, რაც უნდა გვახარებდეს და ისე ვხარობთ, როგორც უნდა გვიხაროდეს, თუ არა?

აწ ჩვენ მუდამ ვესალმებით ერთმანეთს ქრისტე აღსდგა! ვითარცა მეტად სასიხარულო და სანატრელი სალამითა; სახელი აღდგომილი ქრისტესი ატკბობს ყურთა ჩვენთა როგორც ეკკლესიაში, ისე სახლებში ერთმანეთთან მისვლა-მოსვლის და შეხვედრის დროს, ვითარცა გამოხატულება საყოველთაო დღესასწაულობისა, საყოველთაო სიხარულისა. ძნელი გასაგები არ არის, თუ საიდამ წარმოსდგება ამ შემთხვევაში ჩვენი სიხარული, თუ ჩვენი მისალმება: ქრისტე აღსდგა! არ არის მარტო ლიტონი სიტყვები, რომლებსაც ვიმეორებთ ჩვენ ჩვეულებისა გამო, ანუ სხვების მიბაძვით. უფალი ჩვენი იესო ქრისტე აღსდგა საფლავისაგან: აი წყარო, სათავე სიხარულისა, რომელიც დღეს იმდენად აღფრთოვანებს სულთა ჩვენთა, რომ წმ. ეკკლესიას ვერც კი უნახავს სიტყვანი მის გამოსათქმელად! და ეს სიხარული მით უფრო ცხოველია და მხურვალე, რომ იგი მოყვება თვით უძლიერეს და უღრმეს მწუხარებასა. ჩვენ დღეს სარწმუნოების თვალით ვსჭვრეტთ უფალსა შემდეგ მის ვნებათა და სიკვდილისა, რომლითაც იგი იყო უპატიო და მოკლებულ უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა (ესაია 53, 3), უფალსა, რომელიც სრულის თავის დიდებით გამოგვეცხადა, ვითარცა ძე ღვთისა, მკვდრეთით აღდგომით (რომ. 1, 4), იქმნა ამაღლებულ უფროს ყოველთა სახელთასა (ფილ. 2, 9); მუნ ვხედავთ მას ჯვარცმულს შერაცხულს უსჯულოთა თანა (მარ. 15, 28: ესაია 53, 12), თავ-დამდაბლებულს, ვიდრე სიკვდილამდე, სიკვდილითა მით ჯვარისათა (ფილ. 2, 8); აქ ვხედავთ მას ძლევა-მოსილად ჯოჯოხეთსა და სიკვდილსა ზედა, რომლისა წინაშე ყოველი მუხლი მოჰსდრკეს ზეცისათანი და ქვეყნისათანი. (მუხ. 10), რომელმაც იდიდა თავი თვისი დიდებითა მით, რომელი აქვნდა მას წინაშე მამისა უწინარეს სოფლის დაბადებისა (იოან. 17, 5). რა მხიარულება შეედრება დედა-მიწაზე ქრისტიანე მორწმუნე სულის მხიარულებას ქრისტეს აღგომისათვის?

მაგრამ იხარებს რა უფლისათვის სიხარულითა გამოუთქმელითა და დიდებითა (1 პეტ. 1, 8, ქრისტიანე ამა ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღეს უნდა იხარებდეს თავისა თვისისათვის და ყოველთა თვისთა მოყვასთათვისაც. კაცმა, რომელსაც სწამს ღმერთი და მისი უზენაესი მართლ-მსაჯულება, არ დაუკარგავს მთლად სინდისი, არ შთავარდნილა მთლად ბოროტებასა შინა, არ შეუძლია არ იგრძნოს, თუ რა საშინელს ტანჯვას და მწუხარებას ჰბადავს სულსა შინა ჩვენსა ცოდვა. ქენჯნა სინდისისა, დაუცხრომელი შფოთვა გულისა, უკმაყოფილება თავის თავით,

*) თქმული მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალლადის მიერ.

ბრძოლა და შიში ღვთის მართლ-მსაჯულების წინაშე, შიში საუკუნო სასჯელისა: აი ის უბედური ტანჯვითი მდგომარეობა, რომელიც წარმოდგება ცოდვისაგან, რომელიც მეფე წინასწარმეტყველმა გამოხატა სიტყვებით: აღვსო ძვირთაგან სული ჩემი და ცხოვრება ჩემი ჯოჯოხეთსა მიეახლა (ფს. 87, 3). სად შეუძლია ცოდვილს ჰპოვოს ჭეშმარიტი შემსუბუქება და მოსვენება ამ აუტანელი ტვირთისგან? მას შეუძლია ჰპოვოს იგი მასში, რომელიც თვითონ მოუწოდებს თავისთან ყველა ტვირთ მძიმეთა (მათ. 11, 28) განსასვენებლად, ამიტომ რომ იგი მიეცა ცოდვათა ჩვენთათვის და აღსდგა განმართლებისა ჩვენისათვის (რომაელ. 4, 25). აღსდგა ქრისტე: ნიშნავს, რომ სხვერპლი, შეწირული მისგან ცოდვათათვის ქვეყნისა, მიღებულ იქმნა მამა ღმერთისგან კეთილ მნებლობით, ჩვენი ცოდვანი, მიღებული მისგან, იქმნა მოტევებულ,—და ჩვენ, საშინელი ავაზაკნი ეიქმნენით გამართლებულნი და შერიგებულნი განრისხებულ უზენაეს სიწმიდესთან (5, 6-10). ჰოი ქრისტეანე, მაძიებელო, გამოხსნისა შენ ცოდვათაგან! არა ცუდ არს (კორინ. 15, 14) სარწმუნოება შენი მხსნელისადმი: ცხოველ არს იგი სასოება ჩვენი (2 ტიმოთ. 1, 1), ცხოველი უნდა იქმნეს შენი სასოებაც ცხოვრებაზე, განმზადებულისა, გამოჩინებად ჟამსა მას უკანასკნელსა (1 პეტ. 1, 5), გამართლებაზე მადლითა მისითა და გამოხსნითა მით იესო ქრისტესითა (რომ. 3, 24). და იხარებდეს სული ჩვენი, ძმანო, აღდგომისთვის უფლისა და კურთხეულ იქმნეს სახელი მისი, რომელიც შეადგენს ჩვენთვის ჩვენი გამართლების ნიშანს ღვთის წინაშე და გამოხსნისა ცოდვათაგან.

შეგვარიგა რა ჩვენ ღმერთთან სიკვდილითა თვისითა (რომ. 5, 10) და აღხოცა რა ჩვენთვის ხელითწერილი ცოდვათა (კოლ. 2, 14), უფალმა თავის დიდებული სიკვდილითა დასთრუგნა სიკვდილი, რომ. ლისა მეუფება არის აუცილებელი შედეგი ცოდვისა: საგზალი ცოდვისა სიკვდილი არს (რომაელ. 6, 23) ქრისტეს აღდგომა, რომელიც მოწმობს უეჭველად ჩვენ განმართლებას ღვთის წინაშე, არის ჩვენთვის წინდი ჩვენი აღდგომისა არა მარტო სულიერად, არამედ ხორციელადაც. ამისთვის წმ. ეკლესია ქრისტეს აღდგომის დღეებში დღესასწაულობს სიკვდილის მოკვდინებას და სხვა საუკუნო ცხოვრების დასაბამს. აჰა კიდევ დაუშრეტელი წყარო ჩვენი აწინდელი სიხარულისა! ესრეთმა საშინელმა სიკვდილმა წარმართა და ურწმუნოთათვის დაჰკარგა მთელი თავისი ძალა ჭეშმარიტი ქრისტიანესათვის. ქრისტე ჭეშმარიტად აღსდგა მკვდრეთით (ლუკ. 24, 34) და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა (1 კორინ. 15, 20). არა ამოდ დავარდა მიწაზე ესე უხრწნელი ზეციური მარცვალი; იგი დაეცა მისთვის, რომ არ დაშთენილიყო მარტოდ, მოვიდა მისთვის, რათა მოეტანა მრავალი ნაყოფი (იოან. 12, 14). მოციქულის სწავლისაებრ მოვა დრო, როდესაც არამარტო სულს, არამედ თვით დამდაბლებულსა სხეულსა ჩვენსა შესცვლის აღდგომილი ქრისტე ასე რომ იგი—განხრწნადი შეიმოსავს უხრწნელებას და მოკვდავი შეიმოსავს უკვდავებას; მაშინ აღესრულოს სიტყვა იგი წერილისა: დაინთქა სიკვდილი ძლევითა. სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი? (1 კორინ. 15, 54, 55).

სხვა სიხარულის მრავალ წყაროთაც წარმოგვიდგენს ჩვენ ნათელი დღესასწაული ქრისტეს აღდგომისა, რომელთა მთლად აღრიცხვა და გამოთქმა შეუძლებელია. მაგრამ რამდენათაც მეტს სიხარულის ღირს საგანს მოგვაგონებს ქრისტეს აღდგომა, იმდენად უფრო ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი სულის შინაგან მდგომარეობას და გარეგან ყოფა-ქცევას, მით უმეტეს უნდა დაუკვირდეთ, როგორია ჩვენი აწინდელი სიხარული: მართლა ეხარობთ ჩვენ ჭეშმარიტ ქრისტიანულად, როგორც უნდა გვიხაროდეს კიდეც, რომ ჩვენი სიხარული ღირს იყოს აღდგომილის მაცხოვრისა და მაცხოვნებელი ჩვენთვის? თუ პირველი და უკანასკნელი წყარო ჩვენის სიხარულისა არის თვით აღდგომილი ქრისტე და თუ ცხოველ-მპყრობელი ყველა ჩვენის სულის ძალთა, სიყვარული მისდამი გვახარებს ჩვენ მისი აღდგომისათვის, მაშინ ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ეხარობთ ჭეშმარიტ ქრისტიანულად, ღვთის მოსაწონი სიხარულით და ესე

ჩვენი სიხარული მით უფრო სრულია, რამდენათაც ძლიერია და მხურვალე ჩვენი სიყვარული მაცხოვრისადმი. შემდგ, ჩვენი აწინდელი სიხარულის წყაროდ უნდა ჩავსთვალოთ ის უდიდესი სიკეთენი, რომელიც მოგვენიჭა ჩვენ უფლის აღდგომითა; მაგრამ ეს სიხარული მხოლოდ მაშინ იქმნება ჩვენთვის კეთილნაყოფიერი, თუ ჩვენ შეგნებული გვაქვს მთელი სიდიდე და მაცხოვნებლობა ამა სიკეთეთა, სულიერად აღსდგებით აღდგომილ მაცხოვართან ერთად და წარუდგენთ «თავსა თვისსა ღმერთსა, ვითარცა მკვდრეთით ცხოველნი» (რომ. 6, 13) და ყოველის ღონის ძიებით ეეცდებით განვეშოროთ საქმეთა «უნაყოფოთა ბნელისათა» (ეფეს. 5, 11); წინაალმდეგ შემთხვევაში თვით იგი სიკეთენი მოგვანიჭებენ ჩვენ არა გამართლებას, არამედ მიგვცემენ სასჯელსა (ებრ. 6, 1—6).

დღეს ჩვენ მრავალის გზით ვიმეორებთ: ქრისტე აღსდგა, და ნუ იქმნება ეს მრავალ მნიშვნელოვანი სიტყვა უქმად მსწრაფლ-წარმავალ ხმად, არამედ იყოს იგი წარმოთქმულ ჩვენ მიერ სრულის შეგნებით იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც მან ჩვენ გვახარა. ქრისტე აღსდგა! — ამა მოლოცვას უნდა ეთანხმებოდეს არა მარტო ჩვენი ენა, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრება. მარადის განუწყვეტელი იყოს ჩვენი კავშირი ქრისტესთან და მტკიცე მამა-შვილური დამოკიდებულება წმ. ეკკლესიისა მასთან წმ. საიდუმლოთა მეოხებით; და ცხოველ იყოს ქრისტე ჩვენს სარწმუნოებაში, სასოებაში და სიყვარულში. ქრისტე აღსდგა! ღმერთმა ჰქნას სრულად ეთანხმებოდეს ამას მთელი ჩვენი საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრება. მარადის სუფევდეს ქრისტე საზოგადოების უმაღლეს წევრთა შორის, რომელნიც მოწოდებულნი არიან მართონ საზოგადოება თავიანთი ჭკუითა, გონებითა, მაგალითითა და უფლებითა; მარადის ბრწყინავდეს მათ საქმეთა შინა ქრისტიანული სიყვარული, აღსავსე ჭეშმარიტი სიცოცხლითა და ძალით. მარადის სუფევდეს ქრისტე საქმეთა შინა სასოგადოების ყველა ქვეშევრდომ და მცირე წევრთა, რომელნიც განეშორებიან რა უქმობას და მის შედეგს ბიწიერებათა, ჰპოებენ მშვიდობით და მყუდროებით ცხოვრებას ყოველთა ღმრთის მსახურებათა და სიწმიდეთა შინა (1 ტიმ. 2, 2), თავიანთ მცირე მოვალეობათა აღსრულების დროს. მარადის სუფევდეს ქრისტე ქეშმარიტ და ჰიროუთვნელ მეუღლეთა სიყვარულსა შინა და ქრისტიანულს უბიწოებასა შინა, საქმეთა შინა საზოგადო ზომიერებისა და მოთმინებისა; წარიხოცოს უგნური, წრეს გადასული ფლანგველობა და სიუხვე, წარმწყმედელი სულისა და ხორცისა, გაუმაძღრობა სხეულისა; მარადის სუფევდეს ქრისტე სიყვარულსა შინა მშობელთა შვილთადმი, ჭეშმარიტ მორჩილებასა და პატივის ცემასა შინა შვილთაგან მშობლებისადმი; და ზრუნავდენ მშობელნი თავიანთ შვილთა აღზრდისათვის კეთილს ზნეობასა და ნათელსა შინა სარწმუნოებისა, ხოლო შვილნი მიიღებდენ ამა სინათლესა და განაბრწყინებდენ მით გონებათა და გულთა თვისთა. ქრისტე აღსდგა! მიენდვეთ ამა მოლოცვასა თქვენსა, უძლურნო და დამძიმებულნო სიღარიბისა და ყოველ გვარის მწუხარებისა და ნაკლებულობის ტვირთითა; აღსდგეს ქრისტე თქვენ შორისაც, — და შეწუხებულნი გულნი თქვენი იხარებდეს და იშვებდეს სიხარულითა ქრისტეს აღდგომისათა.

ვიხარებდეთ, ძმანო, და ვიშვებდეთ ამა წმიდასა დღესა შინა, რომელი ქმნა უფალმა, სიხარულითა წმიდითა დიდითა, იხარებდეთ აღდგომილის მაცხოვრისა ჩვენისათვის და ვადიდოთ იგი, რომელმა სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და საფლავებით შინათა ცხოვრება მიანიჭა. ამინ.

წერილი რედაქტორთან.

უმორჩილესად ვსთხოვ «მწყემსი»-ს რედაქციას განგვიმარტოს შემდეგი ჩვენთვის საეჭვო კითხვა:

მომრიგებელი მსაჯულნი ხშირად გვიბარებენ ხოლმე მღვდლებს სამსაჯულოში მოწმების დასათვიცებლად. ჩვენც მივდივართ და ვათვიცებთ და არავითარი სასყიდელი კი არ გვეძლევა.

ვალდებული ვართ, თუ არა მღვდლები, რომ ასე ვეხეტიალოთ სასამართლოებში. ამ დროს რომ მრევლში რაიმე მღვდელ-მოქმედების შესრულება დაბრკოლდეს, ვინ აგებს პასუხს?

მღვდელი ფილიმონ ბარბაქაძე.

ჩვენის აზრით, მომრიგებელ მოსამართლეს არავითარი უფლება არა აქვს ასე მუქთად და ბრძანებით მღვდლები იბაროს სასამართლოში. ზოგიერთ ამ ბატონებს თავი

აქუსთ გასული. თეითონ, რისიც ვალდებულნი არიან, იმას არ ასრულებენ, თუმცა კარგა დიდ ჯამაგირებს იღებენ და მღვდლისაგან ყველაფერს მუქთად თხოულობენ. დიდი ხანია, რაც გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით მღვდლებს ყოველ დაფიცების დროს თითო მანეთი უნდა მისცონ, მაგრამ შორაპნის მომრიგებელ მოსამართლეს ეს, ვგონებ, ჯერეთ არც კი წაუკითხავს!.. ორი კაცი ერთი ერთმანეთში ვერ შერიგებულა. საჭიროა ფიცი. მღვდელი როდია ვალდებული, რომ შენთვის მთელი დღე გაცდეს და თავის ხარჯით სასამართლოებში იაროს. მოსამართლეები კარგად დანაყრდებიან და პირველ საათზედ შებრძანდებიან სასამართლოში. შენ, მრეველის მღვდელმა უცადე მათ გარეთ. ჯერ არ გამოსულა იმისთანა კანონი, რომ ასე უაჯაოთ მოექცნენ მღვდლებს და ნურავის ეშინიან პასუხისგებისა ამისთანა მოსამართლის უკანონო მოთხოვნილების შეუსრულებლობისათვის.

რედაქტორი.

შეწირულებანი.

მ. ბლაღოჩინის ერ. მაჭარაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: «ამა წარსული მარტის თთვის 28-ს ჩემდამო რწმუნებული საბლაღოჩინო ეკლესიების კრებულთა შემოსწირეს თბილისის სემინარიის მეოთხე კლასის ერთი ღარიბი მოწაფის ბესარიონ ქაკაბაძის სასარგებლოდ თუთხმეტი მანეთი. ეს ფულები შემოსწირეს შემდეგმა პირებმა:

ბლაღოჩინმა მღვდელმა ერ. მაჭარაძემ 3 მანეთი, მღვდლებმა: ბ. გოგოლაშვილმა, გიორგი ცაგარეიშვილმა, პეტრე ცაგარეიშვილმა, ბლ. ცაგარეიშვილმა, სამ. ცაგარეიშვილმა, თომა მაჭარაძემ, ფილ. დათიაშვილმა, ვას. კაჭახიძემ, ანდ. მოსეშვილმა თითო მანეთი, მღვ. ი. წერეთელმა 50 კაპ., მღვ. ანდ. ლეონავამ 20 კაპ., მღვ. მაქ. ცაგარეიშვილმა 50 კ., პრიჩეტნიკებმა ლ. ბალანჩიკაძემ 50 კ., მოსეშვილმა 30 კ., მღვდლებმა: კრ. ოდილავაძემ 40 კ., მღვ. თეოდორე ჭელიძემ 35 კ., ი. მელაძემ 1 მან.

ეს ფულები ჩვენის რედაქციისაგან გაეგზავნა სემინარიის რექტორს მამა არქიმადრიტს პაისის კუთვნილებისაებრ გადასაცემლად.

რედაქციის პასუხი.

მღვ. ან. ხასა—ს. ერთ დროს რომ ჩვენს ხელში არ ყოფილიყო ხოპის მონასტრის შემოსავლის გამოკვლევა, უნდა დაგვეჯერებია თქვენთვის!.. მამა ბენედიქტე ისე კი არ განაცხადებს, როგორც თქვენ ამბობთ,—პირიქით, ის ათონის სავანიდამ ჰპირდება ხოპის მონასტერს გამდიდრებას... თქვენ მისი აზრი ვერ გაგიგიათ!..

დ. ჩახ—ევს სტაროსტის იმისთანა ცუდი საქციელის შეხედვაზედ გის არ მოვუიდოდა გული? თუ გინდა რომ ყველა თქვენი ნათქვამი მართალი იყოს, ვითომ რა დიდი ცოდვა ჩაიდინა მღვდელმა?.. უმჯობესი იყო სხვა რამეზე მიგექციათ ყურადღება...

ოზ. ვ—ჭელიძეს. თქვენ იწერებით: „ჩვენი მღვდელი სასარგებლო კაცი გამოგვადგაო“. ღმერთმან ინებოს!

ანო ციც—ევს. შე დალოცვილო, ხეფინიხევის და ვერტუვი ჭალის ხალხს როგორ ამტკუნებთ, რომ მათ სწავლის მნიშვნელობა ვერ შეუგნიათ ჯერეთ, როდესაც ევროპის ზოგიერთ განათლებულ ხალხსაც ვერ შეუგნია ეს კითხვა რიგიანად!..

პრ. დ. მაის—ძეს. არ გვჯერა თქვენი ნაამბობი. არ მივსცემ-დი ჯამაგირის მოსატანად ექვს მანეთს. ბლაღოჩინს თუ გამოუცხადე, რა განკარგულება მოახდინა? არ მჯერა, რომ იგი უყურადღებოდ დატოვებდა თქვენს განცხადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისყიდეგიან

დეკანოზი დავით ლამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიკეროვის, ჩარკვიანის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში: თვით გამომცემელთან და ხონში: წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

საქართველოს საეკლესიო ისტორია,

ფასი ოქროთ—ცხრა შაური

ქართული ლოცვანი,

თოვეთა მეტუველობით, ქორონიკონით და მართლ-მადიდებელი ეკლესიის უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით.

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

ახალი გარაბადინი

ფასი ერთი მანეთი.

ეს წიგნი განხილული და ნება დართულია კავკასიის საეპიმო რჩევისაგან.

მდვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი ყდით ხუთი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა

წესდებულება,

ფასი ყდით—50 კ. და უყდოთ 40 კ.

მცხეთის ტაძარი

და

წმიდა ნინო,

ქართველთ განმანათლებელი

სურათებით ფასი 25 კ.

გაენათის მონასტერი

და ცხოვრების აღწერა მეფის

დავით ალმ. შენებელისა

ფასი ექვსი შაური.

წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე

და

მოწამეთის მონასტერი

ფასი 5 კაპეიკი.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის და სახალხო საკითხავი წიგნაკები:

ვასილი დიდი, სურათით—ფასი . .	2 კ.
მირქმა უფლისა, ,, ,, . .	2—
დიდ-მარხვის წინ, ,, ,, . .	2—
ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, სურათით	2—
ბზობა სურათით	2—
აღდგომა სურათით	2—
პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . .	5—
მეფე სოლომონ ბრძენი, სურათით .	5—
ცხოვრების აღწერა წმ. მოწ. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . .	2—
წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი	2—
შიო-მღვიმის მონასტერი: და ცხოვრების აღწერა დირსისა მამისა ჩვენისა შიოსი	5 კ.

შინაარსი: უმაღლესი სიგელები.— განხილებანი უწმიდესი სინოდისა სასულიერო უწყებაში. მოსამსახურეთა ბერთა დაჯილდოებაზე.— უქაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა.— ორა ოფიციალური ნაწილი: ქრისტე ადსდგა!— მოგრიდეთ გერგებს და მატუარებს, კითხვა ითხოვის მოსასტრების სასარგებლოდ მოღვაწეთა და ფულების შემკრებთა.— შენიშვნა შენიშვნაზე.— ნეკროლოგი.— «მწყემსი».ს კორრესპონდენცია. სუსუმიდან.— მეურნეობისა და მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენის პროგრამა.— სიმპერატორო მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოება.— ახალი ამბები და შენიშვნები.— სიტყვა, თქმული საქართველოს ეპარხიის ბალდადისაგან.— საეკლო კითხვის განმარტება.— შეწირულება.— რედაქციის ბასუხი.— განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. *Дозв. цензурою, 20 апрѣля 1889 г.*

Типографія журнала «Мцкемси».